საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N446 2024 წლის 29 მარტი ქ. თბილისი

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2400 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2400 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს არა უმეტეს 66 814 000 (სამოცდაექვსი მილიონ რვაას თოთხმეტი ათასი) ლარისა, კერძოდ:

ა) ყვარლის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 420 000 (ოთხი მილიონ ოთხას ოცი ათასი) ლარისა;

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 9 062 000 (ცხრა მილიონ სამოცდაორი ათასი) ლარისა;

გ) მარტვილის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 478 000 (ერთი მილიონ ოთხას სამოცდათვრამეტი ათასი) ლარისა;

დ) სიღნაღის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 180 000 (ორი მილიონ ას ოთხმოცი ათასი) ლარისა;

ე) ყაზბეგის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 940 000 (ცხრაას ორმოცი ათასი) ლარისა;

ვ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 690 000 (ორი მილიონ ექვსას ოთხმოცდაათი ათასი) ლარისა;

ზ) ცაგერის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 583 000 (ხუთას ოთხმოცდასამი ათასი) ლარისა;

თ) გურჯაანის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 928 000 (ორი მილიონ ცხრაას ოცდარვა ათასი) ლარისა;

ი) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 3 860 000 (სამი მილიონ რვაას სამოცი ათასი) ლარისა;

კ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 521 000 (ერთი მილიონ ხუთას ოცდაერთი ათასი) ლარისა;

ლ) თელავის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 027 000 (ოთხი მილიონ ოცდაშვიდი ათასი) ლარისა;

მ) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 872 000 (ერთი მილიონ რვაას სამოცდათორმეტი ათასი) ლარისა;

ნ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 941 000 (ცხრაას ორმოცდაერთი ათასი) ლარისა;

ო) თიანეთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 193 000 (ას ოთხმოცდაცამეტი ათასი) ლარისა;

პ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 986 000 (ცხრაას ოთხმოცდაექვსი ათასი) ლარისა;

ჟ) ჭიათურის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 338 000 (ერთი მილიონ სამას ოცდათვრამეტი ათასი) ლარისა;

რ) ონის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 071 000 (ორი მილიონ სამოცდათერთმეტი ათასი) ლარისა;

ს) საგარეჯოს მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 059 000 (ორი მილიონ ორმოცდაცხრამეტი ათასი) ლარისა;

ტ) ტყიბულის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 305 000 (ერთი მილიონ სამას ხუთი ათასი) ლარისა;

უ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 460 000 (ორი მილიონ ოთხას სამოცი ათასი) ლარისა;

ფ) წალკის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 270 000 (ერთი მილიონ ორას სამოცდაათი ათასი) ლარისა;

ქ) ხაშურის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 020 000 (ერთი მილიონ ოცი ათასი) ლარისა;

ღ) კასპის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 830 000 (რვაას ოცდაათი ათასი) ლარისა;

ყ) ბოლნისის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 700 000 (შვიდასი ათასი) ლარისა;

შ) ადიგენის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 380 000 (სამას ოთხმოცი ათასი) ლარისა;

ჩ) ახალციხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 185 000 (ერთი მილიონ ას ოთხმოცდახუთი ათასი) ლარისა;

ც) ასპინძის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარისა;

ძ) საჩხერის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 110 000 (ერთი მილიონ ას ათი ათასი) ლარისა;

წ) ბორჯომის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 405 000 (ოთხას ხუთი ათასი) ლარისა;

ჭ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 3 130 000 (სამი მილიონ ას ოცდაათი ათასი) ლარისა;

ხ) ლენტეხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 310 000 (ერთი მილიონ სამას ათი ათასი) ლარისა;

ჯ) ბაღდათის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 960 000 (ერთი მილიონ ცხრაას სამოცი ათასი) ლარისა;

ჰ) ვანის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 555 000 (ხუთას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა;

ჰ[1]) წყალტუბოს მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 545 000 (ხუთას ორმოცდახუთი ათასი) ლარისა;

ჰ[2]) ხარაგაულის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 625 000 (ექვსას ოცდახუთი ათასი) ლარისა;

ჰ[3]) თერჯოლის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 405 000 (ოთხას ხუთი ათასი) ლარისა;

ჰ[4]) სამტრედიის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 660 000 (ექვსას სამოცი ათასი) ლარისა;

ჰ[5]) ხონის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 130 000 (ას ოცდაათი ათასი) ლარისა;

ჰ[6]) ხობის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 705 000 (შვიდას ხუთი ათასი) ლარისა;

ჰ[7]) მცხეთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 475 000 (ორი მილიონ ოთხას სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**